



საკოალიტიკო, სამეცნიერო და სალიბერატორ ნახატბიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 47

ნოემბერი 9 1897 წ.

№ 47

შინაარსი: ბრძოლა ავსტრიის პარლამენტში პ. ს. ძისა, — სხვა-და-სხვა ამბები, — ჩვენი საზოგადოება მახვკავალისა, — პოეტური ფილოსოფიის მოძღვრება ქალაქისა, — წერილები ინგლისიდან (დასასრული) საზღვარ-გარეთელსა, — მოხუცი გმირი, ლექსი სოლ. გ. ძისა, — ვაგასის პირველი გამოფენა ბოსტნეულ-ბაღეულობისა ი. ქ. ძისა, — მგზავრის უნიშვნები (შემდეგი) ფ. პატრიშვილისა, — ჟორწინების აწერა პრინც ლუკიანე მიურატისა ჰერცოგინია როანსთან ოლ. სოლ. ფიქსისა და განცხადებები.

„კვალის“ პრემია 1896 წლისა.

რადგან ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „კვალის“ პრემიით დანიშნული რომანი „მულ-მანა“ გ. წერეთლისა 1896 წლის ხელის მომწერებს ვერ დაურვიდა, იმის მაგივრათ იმავე ხელის მომწერ-ლებს დაურვიდებათ ამ წლის გასულს ახალი პრემია თხზულება გ. წერეთლისა

„ჩვენი ძველი გმირები“
ნახატებით.

ბრძოლა ავსტრიის პარლამენტში.



ავსტრია თავის დღეში არ მოსწრებია იმგვარ ბრძოლას პარლამენტში, როგორც წელს არის. ეს ბრძოლა უფრო ეროვნულია. ავსტრიის სამეფოში არეულნი არიან ერთმანეთში სლავიანთა ერობანი და გერმანელები. დიდი ხანია ისინი

ერთმანეთს ებრძვიან ეროვნულ ნიადაგზე. სლოვენთა სხვა-და-სხვა ერები — ჩეხელები, პოლონელები და სხვები, ცდილობენ, რომ ყოველ ავსტრიის სამეფოს შემადგენელ ერს მიენიჭოს ავტონომიური თვითმართელობა და დედა-ენის თავისუფლება. გერმანელები კი პირიქით ცდილობენ მთელ პოლიტიკურ ძალას ერთ წერტილში მოუყარონ თავი და თავისი მეთაურობით განაგონ ქვეყანა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ავსტრია დაყოფილია ორ დასათ, ერთი დასი ეროვნული დანაწილებისა ე. ი. ფედერალისტები და მეორე დასი — დასი გავრთიანებისა, გავრმანელებისა — ცენტრალისტები. ლაპარაკი არ უნდა, რომ გარდა ეროვნული კითხვებისა ყოველ დასს აქვს თავისი მოქალაქობრივი საგანიც. ამ მხრით საზოგადოთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გერმანელებთან შედარებით სლავიანები ავსტრიაში რევოლუციონერები არიან. ესეც ადვილი ასახსნელია. გერმანელებს უჭირათ ქალაქები, სლავიანებს კი სოფლები. რა თქმა უნდა, ქალაქის მცხოვრები ყოველთვის უფრო პროგრესული და წინ წასულია, ვიდრე ბენაეი სოფლები. ამ გარემოებამ დიდ გასაკარში ჩაავლო ავსტრიის იმპერატორი, მიწისტრების და ქვეყნის მეთაურების

ამორჩევაში. იმას, როგორც გერმანელს, რასაკვირველია, სურს, რომ მისი სამეფო კი არ დაკეანედეს, არამედ ვაგროდეს და ამით იგი გერმანელებს ემხრობა, მაგრამ მეორე მხრით გერმანელებს რომ მისცეს ხელი, ეშინია, რადგან ისინი უფრო ლიბერალები არიან ლე დიდ მემამულეთა ზედიზედ უფლებების ზედიზედ გავლენის შემოზღუდვას მოითხოვენ. მაშ ავსტრიის იმპერატორს უნდა აერჩია ან გერმანელების მხარე ლე ლიბერალური მართვა, ან და სლოვენების მხარე ლე კონსერვატიული მართვა. იმპერატორი უკანასკნელებს მიემხრო და მიანდო სამინისტროს შედგენა პოლიციის ფეოდალს, გრაფ ბაღენის, ოქტომბრის თვეში 1895 წელს. ზევით ნათქვამიდან მიხედვით, რომ ეს სამინისტრო იქნება კონსერვატიული და მასთან ფედერალური მიმართულების, ესე იგი ცხადია, რომ ავსტრიის შემადგენელ ერთა უფრე ვა აღადგინოს. ასე რომ არ მოიქცეს, არსებობა არ უშეძლია. ამას ჩვენ გვიჩვენებს პარლამენტის შემადგენელი დასების რაოდენობა.

ამ წლის დამდეგს მომხდარმა არჩევანებმა, აი, რა შედეგი მოიტანა. სულ პარლამენტი შედგება 425 დეპუტატისაგან, რომელიც საშინლათ დაქუცხულია, არსად არ მოიპოვება იმისთანა პარლამენტი, რამ ასე წერილობრილად და განცალკევებულ უძელურ ჯგუფებათ იყოფებოდეს. ეს შედეგი მოჰყვა იმას, რომ ავსტრიაში საპოლიტიკო პირობები რთულია: ეროვნული პრინციპებისთვისაც უნდა იბრძალო, მოქალაქობრივი უფლებანიც უნდა დაიცვა, ან შეიძინო. ამის გამო არც ერთ დასს უშეუძლია არც ერთის. შესაძინევი დასები კი შემდეგნი არიან:

პირველი ადგილი უჭირავთ მლადე-ჩეხებს — 60 დეპუტატი, — შემდეგ პოლონელებს — 59 დეპუტატი, — გერმანელების პროგრესული დასი — 49, კლევიკარული დასი — 41, გერმანელების საეროენი დასი 39. დანარჩენ დასებში საველისმზოა ანტიციპიტები, ანუ ებრაელთა მდევნილი დასი — 28, და სოციალ-დემოკრატები, რომელიც, როგორც დასი, მხოლოდ წელს გამოვიდნ ასპარეზზე ავსტრიის პარლამენტში — სიტყვით 14. სხვა დასების ხსენება არც კი ღირს. ამ სიღრმე ნათლათ ჩანს, რამ არც ერთი დასი არ შეადგენს უმეტესობას, მაშასადამე არც ერთ დასს განცალკევებით არ შეუძლია სამინისტროს ზურკი გაუშვაროს. ეს იკრძოა არჩევანების შემდეგ მაშინვე გრაუმა ბაღენიმ და მოინდომა საშასტორიდან გამოსვლა. იმპერატორმა არ დაითხოვა. ამას შემდეგ გრაუმი ბაღენი იძულებული შეიქმნა ცდელიყო შეთანხმება რაოდენიმე დასი საერთო მოქმედებისთვის. მართლაც მან დაითანაჰა ჩეხელები, გერმანელი კლევიკალები; პოლონელები ხრამ თვინდანე მისი მო-

ხრენი იყვენ. რასაკვირველია, ეს დასები, როცა ბაღენის პირობას აძლევდნ, შენ მხარეს დავიჭირო, სამაგიეროთ თავის სასარგებლო პირობებსაც ართმევდნ. კლერიკლებმა მოთხოვეს ბაღენის იმისთანა კანონის შემოღება, რომელიც გააძლიერებდა სამედიკოლების გავლენას სკოლებში, ჩეხელებმა კი ითხოვეს მათი ენის აღდგენა. ბაღენიც დაეთანხმა. ჩეხელებს მისცა პირობა, რომ თქვენს გაუთთანასწორებ გერმანულ ენასო. მაგრამ ბაღენიმ კარავთ იცოდა, თუ რა თვალით შეხედავდნ ამისთანა საქციელს გერმანელები. ამიტომ ეს აზრი იმან პარლამენტში კი არ შეიტანა, რომ არეულობა არ გამოეწევა, მან ისარგებლა სალდგამო კანიკულით, როცა პარლამენტი აჩერებს თავის სხდომებს და გამოსცა სამინისტრო განკარგულება. ამ განკარგულების ძალით დაადგინეს შემდეგი:

ზაისი სამსაჯულოში, საქმის წარმოება, გადაწყვეტილება მსაჯულთა, ადმინისტრაციული საქმეების წარმოება, მოხელეების მიწერ მოწერა — სულ იმ ენაზე უნდა ყოფილიყო, რა ენაზედაც დაწერილი იყო პირველი ქაღალდი ამა თუ იმ საქმის შესახებ — საჩინვარი იქნებოდა იგი, თხოვნა თუ სხვა რამ საქმე პირველსავე სდომამზე აღდგომას შემდეგ გერმანულად დებუტატებმა ატეხეს ერთა დეკლარაბა და მოითხოვეს, რომ მინისტრი ბაღენი მიეცათ სამართალი, იმათი აზრით, ბაღენიმ დაარღვია კონსტიტუცია, რომ პარლამენტის დაუმტკიცებლათ ასეთი განკარგულება გამოსცა. მაგრამ მთ თავისი აზრი ეერ გაატარეს პარლამენტში და ბაღენიმ 40 ხმის უმეტესობით გამარჯვა. ამ წუთს შემდეგ გერმანულმა დებუტატებმა გადაწყვიტეს, ობსტრუქციას დაადგნ. ეს ერთგვარი პარლამენტარული ხერხია, რომლის ძალით უმცირესობა ცდილობს წერილობრივ არეულობით, ერთმანეთში ჩხუბით, ღანძღვა-ვივებით, დიდი ხნის ღაპარაკით, ყოველი კითხვის გადასაწყვეტათ ფარული კენჭის ყრით დაქანცოს უმეტესობა და ამით მასი ძალია მოშალოს, არავითარი დღი საქმე არ გადაწყვეტიოს. ამ ყმათ ავსტრიის პარლამენტს კი ერთი დიდი საქმე აქვს გადასაწყვეტი; ეს არის უნგრეთთან შეთანხმება. საქმე იმაშინა, რომ ავსტრო-უნგრეთის იმპერია შედგება ორ შინაგან საქმეებში დადოკრადეულ სახელმწიფოთაგან. იმათ აქვთ თავ-თავიკი შინაგანი კანონები, პარლამენტი და სამინისტროები, საერთო აქვთ მხოლოდ გარეშე პოლიტიკა, გარეშე საქმეების წარმოება და ამისთვისაც კადეც ჰყავთ საერთო გარეშე სამინისტრო, რომლის მეთური დღეს გრაუმი გოლუბოვსკია. აი, ეს გარეშე საქმეები და კადეც წერილობრივი შინაურა საქმეები მოითხოვეს საერთო ხარჯს. აქ იბადება კიბე; რა ნაწილი ეკუთვნის ამა თუ იმ სამეფოს საერთო ხარჯიდან.

აი, ეს კითხვა ითხოვს შეთანხმებას აქამდის უნგრეთი იხდინდა საერთო გადასახადიდან 35% დღეს ეს ეკონომიურათ დაწინაურებულია და იმისგან ითხოვენ მეტ გადასახადს, რომ ავსტრიას სახელმწიფო ხარჯი შეუმცირდეს. ამის გამოსარკვევით არჩეული იყო კამისია. ჯერ კამისიას უნდა შემეღწევა შეთანხმების პირობები და შეედგე ამ პირობებს უნგრეთს და ავსტრიის პარლამენტები განიხილავდნენ და დამტკიცებდნენ. მაგრამ კამისიამ ვერაფერი გადაჭრა. ასე იყო საქმე, როცა ზაუხულის დასვენებას შემდეგ გაიხსნა ავსტრიის პარლამენტი 11 სექტემბერს. ბადენის, რასაკერაეღოა, ენკარგუდა უნგრეთთან შეთანხმების საქმე დაიწყო. მასამ მტკიცებმა კი ერთი შინაგანი განკარგულების გამო მოითხოვეს სამინისტროს სამართალში მცემა. გაბნენ გაუთავებელი ლაპარაკი, უმეტესმა ხელად, რომ საქმე გრძელდებოდა, და იმეცადინა, გერმანელების ილსტრუქცია შეწყვიტა. იმან დაადგინა, რომ დილის სხდომაზე მინისტრების სამართალში მიცემაზე ელაპარაკეთ ხოლმეო, საღამოობით კი უნგრეთთან შეთანხმებაზეო.

ამ გადაწყვეტილებამ სულ გაცოცხლა გერმანელები. ისინი შეეტაცენ სლოვენთა და გერმანელი კლერიკალების უმეტესობას, 18 სექტემბერს საღამოს შეუდგენ კითხვას უნგრეთთან შეთანხმებისას. საქარო იყო, რომ ერთ სხდომაზე სულ გაეთავებიათ პირველი კითხვა უნგრეთთან შეთანხმების პროექტისა. ოპოზიციის კი უნდოდა ამისთვის ხელი შეეშალა ამისათვის იმან გარდა ჩვეულებრივი ხმაურობისა და უმნიშვნელო ყბედობისა, ა, რა ხერხი იხმარა. ამირჩია თავის წრიდან ერთი ორატორი, ლებერი. ამ ლებერმა რომ დაიწყო შეთანხმებაზე ლაპარაკი, განუწყვეტლივ ილაპარაკა ოთხმოცტ საათს. იმან დაიწყო თავისი სიტყვა საღამოს 9 ნახევარზე და გაათავა დილის 9 ნახევარზე. თითონ სხდომა, რომელზედაც ლებერი ლაპარაკობდა დაიწყო საღამოს შვიდ საათზე და გაგრძელდა 25 საათს. სამინისტროს მომხრე უმეტესობას უნდოდა ამავე სხდომაზე გაეთავებია პროექტის პირველი განხილვა. ოპოზიცია კი ყოველ დღისიძიებას ხმარობდა, ყვიროდა, ღრიალობდა, შეურაცხყოფას აუცილებდა ყველას, რომ მტკიცეთათვის ხელი შეეშალა. ბოლოს მაინც ოპოზიციამ თავისი გაიტანა და სხდომა ისე შეწყდა, რომ პროექტის პირველი განხილვა ვერ გაათავა. ეს სწორეთ ოპოზიციის გამარჯვებაა. მაინც ამ ბოლოს დროს სამინისტროს მომხრეებ შორისაც თითქოს განსეთილება ჩამოვარდა. გერმანეთ კლერიკალებს, რომელთაც ბადენის ზურგი გაუშარეს და ამით მისი განკარგულება ჩეხური ენის შესახებ შეიწყარეს, ის აწუხებთ, ვით თუ ჩვენს ამომრჩეულებმა ეს ჩვენი საქციელი

გერმანელების ღალატით ჩაგვითვალონო. ასე რომ ადვილათ შეიძლება, გერმანელი კლერიკალები ბადენის ჩამოშორდნენ და მისი სამინისტროც დიმიზოს. მაგრამ მის მიერ არჩეული გზა ერობათა ენის აღდგენისა, თქმა არ უნდა, ისეე განიგზობა და, როცა ერთა უფლება დამყარდება, ესე იგი ყოველი ერთ თათვის ენაზე აწარმოებს მთავრობისა და სასამართლო საკმეტის, მაშინ ავსტრიის სახელმწიფოს სულ სხვა პოლიტიკური ცხოვრება მოელოს, ეროვნული გამწვავება ნელ-ნელა შესუსტდება.

სხვა-და-სხვა ერთა წარმომადგენელი თავის მოქალაქებრივ ინტერესების მიხედვით ერთმანეთს ხელს გაუწვდიან. მაშინ ჩვენ დაივნახავთ პოლონელ და გერმანელ ფეოდალებს ერთ ბანაკში, ხოლო მათ მოწინააღმდეგე მებრძოლთა შორის ერთათ იქნებიან ხელი-ხელ ჩაკიდებული გალაკებულა გლოციელი მღუბა და გერმანელი პროლეტარო.

მ. ს. — ძე.

სხვა-და-სხვა ამბავი.



ფილისის თავდა-აზნაურობის წინამძღომელმა უკვე მოუწოდა სათავდა-აზნაურო კამ საას ერობის პროექტს განსახილველათ. მან მოიწვია თ. გ. თუმანიშვილი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის კავკასიაში ერობის შემოღების თაობაზე. იმეღია, რომ მისი დასწრება ვერსიაში ან საქმესაც წინ წასწევს და უფრო შემეღწევებულიც იქნება კამისიის დაწერილებითი მოხსენება.

ფრიად საწუხარო განკარგულება მოუხდენია ქალაქის გამგეობას, რომ სოფლის ხალხს აღკრძალოს შემოსა და ნახშირის პარდა-პირი მიყიდვა ქალაქის მცხოვრებლებზე. ჩვენ ვერ გავიგია, რა ანგარიშა შუამავალ ჩარჩების გაჩენა და ქალაქის მცხოვრებლების სტრეკა. ზომ ეს შუამავლები, ანუ შემოსა და ნახშირის საწყობების მეპატრონეები მოუმატებენ ფასს და თუ არ გნებავთ იმათგან ყილვა, უნდა დარჩეთ უშეშოთ და უნახშიროთ. ნუთუ ამ ურიგო განკარგულებას უურადლებას არ მიაქცევს ქალაქის საბჭო, თუ ეს განკარგულება არ მოიშალა, მაშინ მართლა დამტკიცდება, რომ საბჭოსა და ქალაქის გამგეობას ერთათ პირი შეუტრავთ ქალაქის მცხოვრებლები საწყობების მეპატრონეებს აცარკეონონ.

* *

საერო განათლების მინისტრმა კავკასიის პირველ დაწყებითი სკოლების გასამრავლებლათ და იმათში სწავლების გასაუმჯობესებლათ მომაველ წლისთვის გადადგა თვრამეტი ათასი მიწით.

* *

თფილისის პოლიციამისიტერს თურმე ნება არ მიუტოა, რომ ავკალის სასაღილო დარბაზში კვირას გამართონ სახალხოთ წარმოსადგენათ მომზადებული კომედია „გაყრა“. როგორც ჩანს, არც კვლავ მისცემენ ნებას, თუ სცენისმოყვარეთა სხვა მხრით არ იმეცადინეს ამ ნებაართვის აღებაზე უმაღლეს მთავრობასთან.

* *

გიორგი წერეთლის მოხსენების შესახებ, ტყის მასლის ტარიფის დაკლებაზე ჭიათურისა და შორაპნამდის, თურმე კავკასიის რკინის გზის წარმომადგენელმან სატარიფო კომიტეტში პეტერბურგს შეიტანეს შემდეგი აზრი: საზოგადოთ ჭიათურის გზაზე ტარიფების დაკლებაზე სხვა ჯერ აღრგეთ, სანამ არ გადაწყდება ჭიათურის რკინის გზის ტრატის გავრცელება საჩხერემდის. მხოლოთ საჩხერემდის რკინის გზის გაყვანას შეუძლია ააღორძინოს ჭალისათის ტყეების წარმოება, რომელიც ამ ჭამათ დაუქმებულთა უგზოობის გამოეო. თუ მაინც და მაინც უნდათ დაკლება ტყის მასალაზე ტარიფისა, უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ გადასატანი ხის მასლის სიგძე არ უნდა აღემატებოდეს სამ საყენსო, რადგან ჭიათურის გზას ხე-ტყის გადატანის მოწყობილობა აკლიაო.

* *

გაზეთი „იერია“ გეტყობინებს, რომ ამ დღეებში კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში უნდა მოხდეს სხდომა, რომელზედაც აგრონომი ლომანოსოვი წაიკითხავს თავის დაკვირვებაზე და გამოკვლევაზე ჩვენში თამბაქოს მოყვანის შესახებ კერძო მოხსენებას, ჩვენი მიზნის მკვატრინებისათვის საინტერესო მოსასმენი უნდა იყოს ეს ამბავი, რადგან ბევრს გამოსადგე ცნობებს შეიძინენ.

* *

მთავრობას ვანზრახვა აქვს თურმე ბორჯომის ვიწრო ყალიბის რკინის გზა აბასტუმანდის მიიყვანოს.


* *

ქუთაისის თავადაზნაურობის წარმომადგენელი

ამ დღეებში ქუთაისის სამხედრო ლუბერნატორის შუამავლობით გავზანვის უმაღლესი მთავრობის წინაშე მოხსენებას დასაველითის საქართველოში ერობის შემოღებაზე.

* *

ეს კვირა სწორეთ საჯარო ლექციების კვირა იყო. ზედ-ზედ ოთხი ლექცია წაიკითხეს ერთი მეორეზე უფრო საყურადღებო. ბატონ ვ. ე. ლსევიჩმა პირველათ წაიკითხა რომინზონ კრუშოს წიგნის მნიშვნელობაზე და გავაცნო ამ წიგნის დაწერის დეფოს ცხოვრება. წიგნს დიდ ძალი ნაკულუქვენება უპოვა და მისი ასე გავრცელება ყველა ქვეყნებში მიაწერა რუსოს წინასიტყვაობას, რომელიც ამბობს, რომ მართალია ურისცევი უმნიშვნელო სიტყვებით საესეა წიგნი, მაგრამ ყმაწვილისთვის ამავე დროს სასარგებლო და საჭიროაო. ჩვენ არ ვეთანხმებით ბატონ ლსევიჩს, რომ რომინზონ კრუშოს შესანიშნავი წიგნი არ იყოს, ბევრ იმისთანა დღეობებში გავრცელებული და ისე უყვართ ყმაწვილებს ეს წიგნი, სადაც ხსენებაც არ არის რუსოსი. კარგი იქნება, რომ ამ წიგნზე პედაგოგებს მსჯელობა ჰქონდეთ და გამოირკვიონ მისი გავრცელების მიზეზი. მეორე ლექცია ზაპარებზე იყო წაიკითხული. ეს საგანი ისე საყურადღებოთ მიგვჩანია, რომ მის შესახებ წერილის შემდეგ ნომერში დაებეჭვათ. ხოლო ლსევიჩის მესამე ლექციაზე დაწერილებითი ანგარიში ამავე ნომერშია დასტამებული.



ჩვენი სახიობა.




უთმაბათს ნოემბრის 6 დადგეს მსახიობის ჩეტქეშივილის საბენეფისოთ ორი ახალი პიესა, ორივე ჩვენი ცხოვრებდან აღებული პირველი იყო მელოდრამა „ზედი მუხთალთა“ ე. ვაბაშვილისა, გამოკეთებული მისივე თხზულებიდან „რომანი დიდ ხევაში“. ჩვენ ენადელით სცენების გროვას, რომელით შორის ზოგიერთები კარგათ იყო დახატული, მაგალითათ ძველებურათ წიგნის სწავლება, ნიშნობა, და მოურავის დამოკიდებულება გლეხებთან. მაგრამ ამ სცენებს არავითარი შინაგანი არსებითი დრამატული კავშირი არ ჰქონდა, იმიტომ რომ მიზეზი გულისთქმათა ბრძოლის ატებისა და მიუცილებელი შედეგი — მისი უბედურით ბოლო — არ იყო სცენაზე გატარებული ხელოვნურათ, ჩვენ ენადელით ზოგიერთ ნამდელი ცხოვრების სცენებს, მაგრამ ხელოვნების ნახსი კი არ ჩნდა და მისგამო გამოწვეულ ხელოვნურ სიამოვნებასაც მოაკლდა მა-

ყურბელი. ეს კიდევ ერთი იმის მაგალითი იყო, რომ ჩვენი სახიზა ჯერ კიდევ უსუსურ მდგომარეობაშია. ჩვენ ქართულ სცენას, ანუ უკეთ ვთქვათ, ქართულ დრამას ხელოვნური განვითარების ნასახი არ მოეკავება. დრამა-კომედიების შეთხზვისათვის საკმაო არ არის მარტო ხელოვნური ნიჭის ქონება, იმას უნდა თავისებური განვითარება, სცენის ცოდნა და თვით სცენის ცოდნასთან დრამატული თხზულებების შექმნის კანონები. ეს კანონები პირველათ მოიკონეს ძველ საბერძნეთში და შემდეგ იგი განვითარდა შექსპირის მიერ, ხოლო უმწვერვალეს განვითარებადის მიღწელა ლესსინგის წყალობით მეთერთმეტე და მეცხრამეტე საუკუნეში ვერაპოსის ცხელი ნიდავზე. ქართულ დრამატულ ხელოვნებას ავლია ცოდნა ხელოვნების თეორიისა, არ ესმის ის ძირითადი კანონები ხელოვნებისა, რომელნიც ჰქმნიან ნამდვილ დრამას და უმასოთ კი ყოველი დრამატული თხზულება გამოდის აკონილ სცენების გროვად, რომელნიც კი არ აღიიერებენ თან-და-თანობით შთაბეჭდილებას, არამედ ერთი სცენა მეორე სცენის შთაბეჭდილებას აქარწყლებს და მსაყურებელი ყოველთვის დატყმაყოფილებელი გამოდის ჩვენებური წარმოდგენებიდან. ამ არსებითს ნაკულუღეანებებს გარდა ე. ვაზაშვილის მელოდრამაში ჩვენ კიდევ ერთი უსაბოვნო თვისება შევნიშნეთ, რომლის მიზეზით ხშირით დიდი ნიჭის მწერალი თავის ლეითურ სიმდიდრეს უნაყოფოთ ჰუნატავს ცხოვრებაში. ერთ ასეთ სამწუხარო მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენი შესანიშნავი ქალი-მწერალი. ის ნამდვილ მსხვერპლი შექნილა იმ ტენდენციურ სანტიმენტალური ცმპართულებისა, რომელიც რუსეთიდან გადმოზგეს ჩვენს ლიტერატურაში ჩვენებურმა „ნაროდნიკმა“. ნიჭიერი მწერალი ე. ვაზაშვილისა დღემდის ვერ გათავისუფლებულა ამ ცრუ ტენდენციისგან და ამიტომაც მის არა-ჩვეულებრივ რეალურ ნიჭს მუდამ სანტიმენტალურ ტენდენციური ლაქები, „ტეტიათ მოტრუალებებისა“ ახდენს და ღირსეულს უყარავს. ამ მიზეზების გამო იყო, რომ მისი უმთავრესი გმირი პავლე, ბატონის კარზე გაზრდილი მოახლის შვილი, ასეთი ლიბერალური აზრების მქადაგებელი გამოდგა სცენაზე. ის თვითონ გვაკონობებს, რომ თურქთა მისი ბატონიშვილი გიორგი ლემნაზიაში სწავლობდა, მაგრამ იმან გიორგის მეოხებით ლემნაზიის სასწავლო საგნები კიდევ უკეთ შეითვისა; არითმეტკა გეამეტრია და სხვა საგნები იქნება იმან კიდევ უკეთ იტოდეს, ვიდრე უნივერსიტეტში წასულმა მისმა ბატონიშვილმა. აი, ეს არის მიზეზი მისი, რომ გლგობაში პროპაგანდობს და თავის საკოლოსაც ეუბნება: ნათესაობა სულ ჰოროია, სიყვარული თავისუფალი

უნდა და თავისუფალი სიყვარულის წინაშე ნათესაურმა გრძნობამაც უნდა უტიოსო. აკი, იმიტომაც გაზრდილებულა მისი საკოლო მარო და ჯგერის წერამდის სიყვარულის სიტყვობა უგემგელა ჩათუქვან განათლებულ მოახლის შვილ პავლესთან! ეს ყოველივე ჩვენს ნიჭიერ მწერალს იმისთვის დაჰირდა, რომ საზოგადოებისთვის დამტკიცებინა „ტეტიათ მოტრუალებებ“-ს უმაღლესი თეორიული შეხედულება გლგეკაცობაზე: გლგეკაცის შვილი ისეთი რამ საოკარი ნიჭიერების და კულტურის წარმონაშობია, რომ საკლებში უწერთნელათაც სტუდენტებს თავზე გადაეღებოთ. დროა ჩვენმა საზოგადოებამ ასეთ უნიდავო რწმენას ზურგი შეაქციოს!

დასასრულ არ შეგვიძლია უყურადღებოთ დეტრავით ჩვენი ნიჭიერი მსახიობის ელ. ჩერქეზიშვილის ვოდვეილი „სამოცი წლის არზიყი“. რა შეწინებია და რა შეწინებიათაც ითამაშო თვით ატორამა უმთავრესი რაოლი თავის თხზულებებისა, დარკოა. ჩინებულ ტიპი დაგვიხატა ამ ქალმა ჩვენებური ნაპრისტავლისა და მისი მწერლის ვინლაც ლოთი პისრისა. ამათი მექრთამეობა და ცქრიალა ქართველი ქალის მოხერხებულობა, რომ ქმრის უწყსოა ოინები შეიტყოს, უებარი რამ გამოვიდა. დიდი მადლობის ღირსია ელისაბედ ჩერქეზიშვილისა, რომელმაც თავის მსახიობურ ნიჭთან ერთად კიდევ ერთი კარგი მარგალიტო შექინა, ჩვენ ვოდვეილებს შორის, ქართულ თეატრს.

მახაკველა.



პოზიტეურნი ფილოსოფიის მიძღვრება.

ბ. ლექვიანის ლექცია, წაითხუდა თბილისის „კრუჟოკში“ ნოემბრის 4.



ფონ ნოემბრის „თბილისის კრუჟოკის“ დარბაზში ბ. ლექვიანმა წაითხა საჯარო ლექცია პოზიტეურ (არსებითი, საგნობრივი) ფილოსოფიაზე. ყველა სწავლა-მოძღვრება, მოგვსენებათ, დროს განმავლობაში ირკვევა, იესება და ეთარდება. ასევე გამოირკვა და განეთარდა პოზიტეური მიძღვრებაც, რომლის მამა-მთავართ სამართლიანათ ითვლება საუნარგეთის შესანიშნავი სწავლული ოკოუსტკონტი. ამის მოძღვრების ღირსეულ გამპრობლათ და გამრკვევ-შემავსებლათ ჩვენს დროში ითვლება ეწეველი პროფესორი ბ. ავენარიუსი. მას ეკუთვნის ახალი ტრინიოლოგიის და განხილვის ემპირიოკრიტიკული მეთოდის (მეთოდი, რომელიც არის დამყა

რებული ცდაზე) შემოღება ფილოსოფიაში. აი, ამ ახალი მეთოდის განმარტება შეადგენდა ბ. ლესევიჩის ლექციის უმთავრეს საგანს. ლექცია განიყოფებოდა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი შეიცავდა ადამიანის ცოდნის გენეზისის (წარმოშობა, დაბადება), ზრდა-განვითარების და პირველი ცოდნის მოკლე მიმოხილვას. აქ ლექტორი შეგვო ადამიანის ანთროპომორფოლოგი (განკაცებით) ზე მეტაფიზიკურ (განყენებით) შეხედულებას, მოიხსენა ჩინური სარწმუნოებრივი მოძღვრებ „დაო“, ინდოეთის „ნიშანა“, პლატონის იდეები, სპინოზის „ჟოგადი სუბსტანცია“, კანტის „აფთხი ნათა“ (Вещь в-себе), შოპენჰაუერის „ნება“ ზე სხვა; მან განსაზღვრა ცოდნა შეგნებისაგან (მაგალითით: მე ვიცი, რომ ალი ერთხან—ეს უბრალო ცოდნა, ცოდნა იმისი, თუ რისთვის ერთხან—შეგნება), შეგვო კრიზისის ფილოსოფიაში, დახატა ყველა ამ მიმართულების გამოუდგრობა, მიუწოდებლობა და მიგვაყენა პოზიტიუური ფილოსოფიის კარებზე. ლექტორმა უარ ჰყო ძველი, მეტაფიზიკური ფილოსოფია, გამოარკვია კერძო მეცნიერებათა მნიშვნელობა და აღიარა ახალი პოზიტიუური ფილოსოფია ზოგად, შემავრთებელ-შემაკავშირებელ მეცნიერებათ. ლექციის პირველ ნაწილში ლექტორს, რასაკვირველია, ახალი არა უთქვამს რა ზე დროს უქონლობის გამო ისიც კი ძლიერ მოკლეთ და არა საესებით ვაღმოგვცა, რაც ფილოსოფიის ხელსამძღვანელოებში მოიპოვება.

თავისი ლექციის მეორე ნაწილში ბ. ლესევიჩმა განმარტა ემპირიოკრიტიკული მეთოდი და მისი მნიშვნელობა. ამ მეთოდით ადამიანი მხოლოდ მას ჰკიდებს ხელს და იკვლევს, რაც მისთვის სათუო არ არის და აუცილებელია, რომ ადამიანი არსებობს, რომ ის გარშემო წრეში ტრიალებს. ეს წრე წინ უყენებს მას, თუ შესაძლებელია ასე თქმა, ცხოვრების დასაკლისებას (жизнь-привоесть), ანუ, მარტყით, სხვადასხვა ცხოვრების საშიშროებას, ხიფათს ზე დამბრკოლებელ-შემაფრხებელ გარემოებას. აესნათ მაგალითით: თვალში ჩაიყარდა ფინჩი რამ, ამით წინ დამიღვა ცხოვრების დასაკლისება, რადგან ცხოვრების მყუდროება დამრღევა, სრულ ცხოვრება მომეშალა, განსაცდელში ჩაიყვარდი, რადგან შეიძლება თვალი გამოფუჭდეს და სხვა. მე, რასაკვირველია, ეცდობობ ამ საშიშრობისაგან თავის დაღწევას, მივიწრაფები ცხოვრების უმაღლეს წერტილისაკენ, maximum-ისაკენ. მოვიშორე დაბრკოლება, საშიშროება და ისე დაიბრუნე ცხოვრების უმწვერვალებსა, მაქსიმუმში. ამ მაქსიმუმზე მხოლოდ მაშინ დავს ადამიანი, როცა არაეითარი საშიშროება, არაეითარი ცხოვრების დასაკლისება არ უდგას მას წინ. ცხოვრების გზაზე ასე-

თი საქაან-წყევტო გარემოებანი, ასეთი ცხოვრების დასაკლისება ათსანართ ერთმანეთში გადაჯაჭვულ-გადახლართული ელობება წინ აღმაიანის, როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ მხარესაც და თოთოლობს მისგან გამკლავებას. ამათი წინააღმდეგობის ვაწევა, გამკლავება, რასაკვირველია, უფრო ემარჯება შეერთებულ ძალას, ჯგუფს, ვიდრე ერთ პირს, ერთ ადამიანს. აქედან ცხადია, რომ ადამიანი უნდა ცდილიყო შეერთებულ, კონგრეგაციული ძალ-ღონით გამკლავებას შემაფრხებელ გარემოებასთან; აქედან ცხადია, რომ ადამიანი ადამიანს უნდა მიჰკვლევებოდა, ჯგუფი ჯგუფს, საზოგადოება საზოგადოებას, მხარე მხარეს და საბოლოოთ ელის მას სულ გვერთიანება კაცობრიობისა.

ეს მოძღვრება, როგორც მეთხველიც ხედავს, საზრდობს დარეინის ევოლიუციონური მოძღვრებით და ჰქადაგებს იმასვე, მხოლოდ სხვა სახითა და ფორმით.

ბ. ლესევიჩი საზოგადოთ მკვიტცხლათ და გასაგებათ ლაპარაკობდა, მაგრამ დროს სიცოტავემ, როგორც თვითონაც შენიშნა, ნება არ მისცა მას საესებით გამოერკვია თავისი ლექციის საგანი.

ჭაღარა.

წერილები ინგლისიდან.

VI II

დასასრული *)

დ რ ნ დ რ ი ს.



ხლა მივუბრუნდეთ ისევ ქუჩის უსულო საკნებს. შენობები ყველა ერთიმეორეს გაგეს, არხიტექტურა სრულებით არ მიიპყრობს თქვენ ყურადღებას. ხშირათ მიველი ქუჩა ერთნაირი სახლებით არის გადაჭვდილი. თვითოველს აქვს თანაწირობა სართული: ოთახი, კარი, ყუდჯარა—ერთის სიტყვით, როგორც ერთია ისეთია ყველა დანარჩენი. ეტყობა რომ ყველა ეს ერთი კაცის მიერ უნდა იყოს აშენებული. და მართლაც აქ სხვადასხვა სახლის ამშენებელი საზოგადოება, თუ კერძო კაპიტლისტი არ არის, სახლს ერთი-ორი თვის განმავლობაში ააშენებს და თვითოველს ცალ-ცალკე აქირავებს. ამათი მიზანია ფულის მოგება. ეინც საღში დვას მას სა-

*) ის „კვად“ № 45.

ხლი არ ეკუთვნის, ხოლო ვისაც სახლი ეკუთვნის მას მიწა არ ეკუთვნის. თითქმის მთელი ლონდონის მიწა-ადგილი რამდენიმე მემამულის საკუთრებაა. დიუკი ვესმისტერი, ლორდი პორტმანი, ლორდი ბენბორდი — აი, ვის მამულზე არის ამენებული ინგლისის დედაქალაქი. ესენია უდიდესი მემამულენი არა მარტო ინგლისში, არამედ მთელ ქვეყანაზედაც, ამა, წარმოადგენთ, ლორდ პორტმანს მხოლოდ ბეკტერის და მის ახლო-მახლო ქუჩებიდან წელიწადში ათი მილიონ მანეთს მიწის იჯარას იღებს. და ეს ის კაცია, რომელსაც ერთი სახლიც არ აუშენებია და არც კი იცის, ვინ ააშენა. ის გასცემს სახლის ასაშენებელ მიწას იჯარით, თვითაგულიდან იღებს წელიწადში არა ნაკლებ 80 თუმნისა და 99 წელს შემდეგ სახლი მას რჩება. ჩინებული პირაბაა! და თუ კაპიტალისტები ასეთი პირობით სახლებს აშენებენ, ცხადია ისინიც სარგებლობას ხედევენ. ამ სახით, მდკმური იხდის კაპიტალისტის პროცენტებს და მემამულის რენტას. ლორდ ბენბორდს მარტო ორი ქცევა მიწიდან, სადაც ბაზრობა წარმოებს, წელიწადში ასი ათასი მანეთი შემოაუღის. ხოლო ვესტმისტერ დიუკის სიმდღრე აურაცხელია. ვესტმისტერი — ეს ლონდონის საკუთრეთსა უბანი მის მიწაზე არის გაშენებული. აი, რა შესანიშნავი მაღანი აქეთ ამათ! სწორეთ ამაზე თქმის, ქუჩაზე ოქრო ამოდისა.

ასეთ პირობებში, მოსალოდნელია, სახლის ქირა დიდი უნდა იყოს, ნამდვილათ კი ასე არ არის. აქ, საზოგადოთ არჩევენ ორ-ნაირ შენობას buines hous — საქმის სახლი, ე. ი. ისეთი, სადაც რაიმე საქმეს აწარმოებენ და ფულს იღებენ და private hous — კერძო, ანუ სადგომი სახლიც. ი. ისეთი, სადაც მხოლოთ ცხოვრობენ და ფულს ხარჯვენს. პირველი რიგის სახლი ძალიან ძვირია, ხოლო მეორე რიგის შედარებით იაფია. ეს წარმოადგება იქიდან, რომ პირველნი უფრო ცენტრისაკენ არიან მიჯგუფდულნი, აქ დიდი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ტრიალდებს. სადგომი სახლი კი ვაჭანტულია ყოველგან, შორეულ უბნებში. აქეთ თავისუფალი მიწა ბევრია და თუ მოთხოვნილებამ იმატა შენობათა რიცხვიც იმატებს. და მოთხოვნილებმა რამ მატულობს იქიდან ჩანს, რომ ყოველ წელს 13—15 ათასი სახლი შენდება ე. ი. სამი ქუთათისის ოდენა ლონდონს ყოველ წელს ემატება. მეორეს მხრით, კაპიტალისტები ცოტა სარგებელსაც ჯერადებთან, აქ ერთობ დიდ-ძალი ფულია და ფულის პატარანი მოხარულია 3—4 პროცენტს რომ მიიღებდეს. სადგომი სახლები, საზოგადოთ, ორ-სართულიანია, იშვიათათ სამ-ოთახიანი. — რატომ აშენებთ ასე პატარა სახლებს? ვითხებ ერთ ინგლისელს.

— მიზეზი ცხადია, ყველა ძვიებს საკუთარ სახლს,

და, რადგანაც ცოტა შეძლების კაცი უფრო ბევრია ვინემ დიდი შეძლებისა, სახლებიც პატარები უნდა იყვენ, რომ გაქირავდეს. — მომიგო ინგლისელმა.

შენობები კვამლისაგან ერთიანათ გაშვებულია, ასე გვთანა ცეცხლი მოუდება და გადაუწვავსო. საიდან მოდის ეს კვამლი? ლონდონი ყოველ დღე ორ მილიონ ბუნხარში ორას-ოარმოცდაათი ათას ფუთ ქვანახშირს წვეს (ზაფხულთათ ცოტა ნაკლებს). ამდენი ბუნხარდან ამოსული კვამლი შევ-ლორუბელივით ეფარება ლონდონს, წასავალი ალაგი არ აქვს, ქარი იშვიათია, პატარა ნიავს მხოლოთ ერთი უბნის კვამლი მეორეში გადააქვს და მეორის პირველში. და ასე მთელი დღის განმავლობაში ექვსი მილიონი ხალხი კვამლში იჩრჩობა. ამას მიუმატებს ისლი და ნესტო და მიიღობთ ლონდონის ჰერს. ეს ნისლი მინიც სა-მავალითაა; შუადღეზე, როცა მზეც აშუქებს და ყოველსავეს ჩვეულებრივი ფერი ადევს, უცებ დანისლავს, დაბნელდება და დღე ღამეთ იქცევა. აღარაფერს ხედავთ, ყველგან იმავე წუთში ფარნებს ანთებენ, მარა ზმირათ ესეც არას შეეგოს, სქელ ნისლში ფარნის ინათლე ვერ ატანს და ხართ ასე არა-სანატრელ მდგამარეობაში. ისევ ბრმას თუ მიმართავთ, თორემ თვალ ხილული ვერას გიშეგლისთ. ბრმებისთვის ხომ სულ ერთია, სინდრე თუ სინათლეა, მას თავის ჯო-ბი უჭირავს და მიდის. და მართლაც, როგორც მითხრებს, არაერთხელ ბრმას თვალ-ხილულისთვის გზა უსწავლებია!

ინგლისელი ამბობს ვინაც აქ გაძლებს, ის ყოველგან გაძლებსო. ეს ასეც უნდა იყოს. შეიძლება ამიტომაც ის ისე ჩინებულიათ ეწყობა ყოველ-ნაირ ბუნებურ მოვლენათა პირობებს. იფიქრებთ, ასეთ ქალაქში მცხოვრებელი უფერული, მისუსტებული და ავანთყოფი იქნებაო. სადაური ფიქრია! ინგლისელი პირიქით ვარდევით გაშლილია, მის ლოყებს ცეცხლი ენთება, სიციქიტე-სიყოჩაღეში ვერაინ შეედრება. ლონდონისთანა სალი ქალაქი მთელ ქვეყანაზე არ არის. მცხოვრებთა მიხედვით აქ ყველა ქალაქზე ნაკლები კაცი ცვდება. ინგლისელი, პირველ ყოვლისა, ასე და-გარიცხეს: აქ ცხოვრება თუ გინდა, ბევრი უნდა იმოძრაო. და მართლაც საჭიროა მულმივი ფიზიკური ვარჯიში, რომ ჩასუნთქული კვამლი და ნესტი ისევ გარეთ გამოიტანო. ამიტომაც ინგლისელს ისე გავიყვებით უყვარს ყოველნაირი თამაშობა. ამას მოუმატეთ ისიც, რომ აქ ჩრავალი ბაღები და პარკებია. ეს, ასე ეთქვათ, ლონდონის ფილტვებია, რომლის საშუალებით იწმინდება ჰაერი. არც ერთი ქალაქი ისე დასე-რილი არ არის ბაღებით, როგორც ლონდონი. და კიდევ რანაირი ბაღი! უზარმაზარი, ხეთ-საათს ვერ შე-მოივლით. ამათში შესანიშნავია ჰიდ-პარკი, რომლის

სიერსე 200 ქცევაზე მეტია. პატარა-პატარა ბალები, ანუ სკეერები ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზედაა. ზოგი იმათგანი ეკუთვნის კერძო პირს, განსაკუთრებით ზემოთ მოხსენებულ ლონდონის მემამულეთ. აქ არსებობს ერთი საზოგადოება, რომლის მიზანია ყოველი თავისუფალი ადგილის გალამაზება, შიგ სკამების დაღმა და ხალხისთვის სასეირნოთ თუ მოსხვედრებათ

გაკეთება. ამავე საზოგადოების მეცადინეობით ზოგ კერძო მესაკუთრემ თავისი ბაღი ხალხს სასეირნოთ გაუხსნა.

თეთრან შენობა თუ არა, მისი წარწერა მაინც კი მიიპყრობს თქვენ ყურადღებას. ზედათ ერთ ევებერთელა სახლს, მრავალ სართულებით და დიდი ეზოთი, გსურთ გაიგოთ მისი დანიშნულება, მიდი-



ყანზის (თევზი ყლაპიას) წიწილები.

23.



კარგი ოსმალები.

ბიბლიოთეკის ნაწილი
საქართველო
მ. ბიბლიოთეკა

ხართ კარებთან და კედლებზე ამოკეთილ ასეთ წარწერას კითხულობთ: Supported by voluntary contribution — ინახება კერძო ხელის-მოწერით, რა არის ეს? ეს არის ან საავთმყოფო, ან სასწავლებელი, ან სამკითხველო, ან და სხვა რაიმე საზოგადო დაწესებულება. აქ ყოველივე საზოგადო საქმე კეთდება საზოგადოების მიერ. ყოველივე საზოგადო დაწესებულებას ჰყავს თავისი კომიტეტი, თავმჯდომარე, მფარველი, შემომწირველი, თანამგზავნობელნი და სხვ. მაგ. ყველა საავთმყოფო საზოგადოებაში მოგზაოვანი ფულით ცვატლობს, წამლობა, საწოლი, სასმელ-საქმელი ყველაფერი მუქთია, ავთმყოფი არაფერს არ იხდის, საკვირველი ის არის, რომ საზოგადო საქმის ხელის შეწყობა ნიშნავს არა ქველმოქმედებას, არამედ საზოგადო მოვალეობის შესრულებას. აგრეთვე დამხარების მიღება სრულიად არ მოასწავებს სამაწყალოს მიღებას.

ქუჩაზე ძალიან იშვიათათ ხედავთ ძველებს. ითელ ლონდონში შეიძლება ათიოდე ძველის მეტი არ იყეს და ყველა ეს, რასაკვირველია, ხელის მოწერით არის ავებული. ამათ შორის შესანიშნავია ნელსონის ძველი ტრაფალგას მოედანზე. ნელსონი ინგლისის დიდება და სახელი. მასში განზარტყლებულია ინგლისის ზღვის ძალა, ნელსონმა 1805 წ. დამარცხა საურანდეთ-ისპანიის შეერთებულ-ზღვის მებრძობა, დაატყვევა ყველა ხომალდნი მათი ჯარით და წყობილებით. ამ ომში ის მოკლულ იქნა, მარა თავისი გამარჯვებით სამშობლო იხსნა ნაპოლეონის შემოსევისაგან. ინგლისელი ნელსონს უწოდებს ინგლისის მხსნელს და სამაგვიროთ მისთვის შესანიშნავი ძველი დაუდევას. ძველის სეტს აქვს 20 საყენი სიმაღლე, რომლის წვეროზე ნელსონია გამოქანდაკებული, ხოლო ძირი მაღალ პიედესტალზე აბჯენია. საუფძველის ოთხ გვერდზე ნელსონის ოთხი ომია გამოკეთილი. ჩრდილოეთით, ბრძოლა აბუკირთან (1798), ნელსონი თავში დაჭრილი უკანე აბრუნებს ექიმს ამ სიტყვებით: „ჯერ ჩემი ჯერი არ მოსულა“. აღმოს.: ბრძოლა კონპეზანგთან (1801), ნელსონს ზის ზარბაზანზე და დამარცხებულ დაწელებთან ზარის პარობაზე ხელს აწერს. დასავლ.: ბრძოლა ენსანთან (1797), ისპანიის ხომალდთა მთავარ-სარდალო თავის ხმალს ნელსონს აწვდის. სამხ. ბრძოლა ტრაფალგართან (1805), ნელსონი კვდება, მარა უკანასკნელი ძალ-ღონე მოაქრეუა და მხედრათ შეძახა: „ინგლისი მოედის, რომ თითოეული თავის მოვალეობას შესრულებს!“ ძველი დამჯდარია ნახევარ მილიონ მანეთით, ამავე მოედანზე არის ინდოეთის სარდალთა ძველნიც. ერთზე აწერია თვითონ სარდლის მიერ წარმოთქმული სიტყვა: „ჯარის კაცნო, თქვენი

შრომა, თქვენი ტანჯვა, თქვენი მუშაობა და თქვენი მამაცობა ახასოღეს არ იქნება დავიწყებული მაღლიერ სამშობლოს მიერ“.

